საერთაშორისო აკადემია ლოგოსი

LOGOS

ისწავლე იყო წარმატებული

დირექტორის მიმართვა

11 წლის წინ, როდესაც სკოლის გახსნაზე ვფიქრობდით, ჩვენი მიზანი იყო დაგვემსხვრია მითი, რომ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება მხოლოდ ერთეულებისათვისაა შესაძლებელი. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს საქართველოში, სწავლება იყოს ქართულად, სასკოლო საგნებთან ერთად გაიაროს საერთაშორისო ტესტებისათვის მოსამზადებელი პროგრამა, შეიძინოს შესაბამისი უნარები და ის მზად იქნება სწავლა გააგრძელოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ საერთაშორისო უნივერსიტეტში. დღეს, სკოლის გახსნიდან 10 წლის შემდეგ, ვარ უბედნიერესი ადამიანი, რადგან ჩვენ ეს მოვახერხეთ.

სკოლა დაამთავრა 244-მა მოსწავლემ, აქედან 139 მოსწავლე ჩაირიცხა მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტში. სტიპენდიის სახით მათ ჯამში 8 553 200 აშშ დოლარზე მეტი აქვთ მიღებული. 105 მოსწავლე კი აგრძელებს სწავლას საქართველოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. მათ გრანტის სახით მიღებული აქვთ 480 300 ლარზე მეტი.

ხშირად გვეკითხებიან, რა არის „ლოგოსის“ საიდუმლო? როგორ ახერხებს სკოლის ამდენი კურსამთავრებული საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებას? ან საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში ჩაბარებას? ეს საიდუმლო ვართ ჩვენ - დამფუძნებლები, რომლებმაც ზუსტად ვიცით, რა გვინდა და, შესაბამისად, რა არის გასაკეთებელი. ჩვენ უშუალო კავშირი გვაქვს სასწავლო პროცესთან - სკოლაში ვმუშაობთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და პარალელურად ვართ კლასის დამრიგებლებიც.

მე ვამაყობ:

- ჩვენი პედაგოგიური კოლექტივით, რომელიც პროფესიულად მუდმივად ვითარდება;
- ჩვენი მრჩეველთა საბჭოს წევრებით, რომლებიც ყოველთვის მზად არიან, დახმარება გაგვიწიონ;
- ჩვენი თანამშრომლებით, რომლებიც დამფუძნებლებთან ერთად ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, ყველაფერს აკეთებენ სკოლის წინსვლისათვის;
- ჩვენი მოსწავლეებით, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ, კარგი განათლება მიიღონ და ყველაფერს აკეთებენ ამისათვის;
- ჩვენი სკოლის კურსამთავრებულებით, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ სწავლას საქართველოს, ევროპისა თუ ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. ორმაგად ბედნიერი ვარ, როდესაც უნივერსიტეტებიდან მადლობის სიგელებს გვიგზავნიან ასეთი მოსწავლეების აღზრდის გამო.

დაბოლოს, მე ვამაყობ, რომ დღეს სკოლა წევრია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციისა - NACAC – National Association of College Admission Counselors; College Board; Common Application და იმკვიდრებს საერთაშორისო სკოლის სახელს.

სკოლის შესახებ

საერთაშორისო აკადემია ლოგოსი დაარსდა 2010 წელს. სკოლის გახსნის იდეა ეკუთვნის გიორგი ჩავლეიშვილს, რომელმაც განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღო. მან დაამთავრა ვირჯინიის Saint Anne's Belfield – ის უმაღლესი სკოლა და ჰამილტონის (Hamilton) “Liberal Arts” უნივერსიტეტი. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სწავლების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების განსაზღვრაში მონაწილეობა მიიღეს გია მურღულიამ, ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და ირინა შარაბიძემ. სკოლას დიდი დახმარება გაუწიეს მრჩეველთა საბჭოს წევრებმა.

საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ძირითადი განაცხადია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში “Liberal Arts”-ის პრინციპებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვა, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები, ცალკეულ დისციპლინაში ღრმა ცოდნის მიღებასთან ერთად, იძენენ რაციონალური აზროვნების, მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების, დამოუკიდებლად მუშაობისა და სწავლისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

სკოლის აკადემიური პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ როგორც საქართველოში, ასევე, ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, რაშიც მათ ძალიან ეხმარება College Counseling -ის კურსი.

სკოლის წარმატებას მაღალკვალიფიციური თანამშრომლები და ქართველი და უცხოეთიდან მოწვეული პედაგოგები განაპირობებენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ სკოლის წარმატებისათვის.

სკოლის მიზანი

სკოლის მიზანია:

- უზრუნველყოს სასწავლო პროგრამების შესაბამისობა 21-ე საუკუნის საგანმანთლებლო სტანდარტებთან;
- მოსწავლეებს შეუქმნას ყველა აკადემიური პირობა საქართველოს, ამერიკისა და ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად;
- აღზარდოს თავისუფალი და პასუხისმგებელი ადამიანები, რომელთაც ჩამოუყალიბდებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასებისა და ცხოვრებაში რეალიზების უნარები;
- იზრუნოს პედაგოგთა პროფესიული სრულყოფისათვის;
- იზრუნოს სასკოლო ორგანიზაციის განვითარებაზე.

აკადემიური პროგრამა

სკოლა აკადემიური თვალსაზრისით ორიენტირებულია თითოეულ მოსწავლეზე. სკოლა იყენებს მაღალი კომპეტენციის მქონე პედაგოგების მიერ შემუშავებულ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო სასწავლო გეგმას. მაღალ საფეხურზე ერთ კლასში სწავლობს მაქსიმუმ 12-14 მოსწავლე, დაწყებითზე - მაქსიმუმ 16. კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა და მათი მაღალი აკადემიურობა პედაგოგებს, საგნობრივი პროგრამის დაძლევის თვალსაზრისით, დასახული მიზნის სრულად განხორციელების საშუალებას აძლევს.

სკოლაში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები:

- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;
- დემონსტრირებული სწავლება;
- დისკუსია;
- კონსულტირება;
- ლექცია;
- სწავლების ჯგუფური მეთოდები;
- პრეზენტაცია;
- გონებრივი იერიში და სხვა.

სწავლების მეთოდების დახვეწა და ურთიერთგაზიარება მუდმივად ხდება პედაგოგთა ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების დროს. სკოლა მუშაობს გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპით.

საგაკვეთილო დროს ორ ნაწილად ჰყოფს ორი დასვენება, რომელიც იწყება ყოველი სამი გაკვეთილის შემდეგ. პირველი შესვენება ეთმობა საუზმესა და დასვენებას, ხოლო მეორე სადილსა და დასვენებას. ორივე დიდი დასვენების დროს, მოსწავლეები კლასის კოორდინატორებთან ერთად იმყოფებიან სკოლის შენობაში ან ეზოში.

დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლების ფორმატში სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, მაღალი ხარისხით მიწოდებას, საჭიროებების სწორად შეფასებასა და კომფორტულ სასწავლო პირობებს. ვთანამშრომლობთ ქართულ და საერთაშორისო პლატფორმებთან, რომლებიც ჩვენს უკუკავშირზე დაყრდნობით, მუდმივად ცდილობენ ხარისხის გაუმჯობესებას. არსებული გამოცდილების ხარჯზე, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ტექნიკური უნარები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩვენი გუნდი მუდმივად მუშაობს სხვადასხვა ტექნიკური ფუნქციონალის ათვისებაზე, შესაბამისად ჩვენი უნარებიც მუდმივად იხვეწება.

დისტანციური სწავლების ფორმატში ხარისხის კონტროლის მიზნით ვახორციელებთ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და მონიტორინგს. ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ პედაგოგების მცირე სამუშაო ჯგუფებთან და ყოველკვირეული შეხვედრების ფარგლებში ერთმანეთს ვუზიარებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, განვიხილავთ საინტერესო აქტივობებს, და ვსახავთ პრობლემების გადაჭრის გზებს. 2020 წლის საგაზაფხულო სემესტრში ონლაინ სწავლების პირველმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა, ახალი სასწავლო წლისათვის გაგვეუმჯობესებინა დისტანციური განათლების როგორც ტექნიკური ასევე შინაარსობრივი მხარე.

აღსანიშნავია ისიც, რომ დისტანციური სწავლებისას, მოსწავლეების ასაკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდიკა ითვალისწინებს მათ საჭიროებას, ხოლო საგაკვეთილო ცხრილი შედგება სხვადასხვა რაოდენობის გაკვეთილების, დასვენებების რიგითობისა და ხანგრძლივობისგან.

დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა აღრიცხვა და მშობელთა ინფორმირება ხდება ყოველდღიურად. დისტანციურ ფორმატში ვატარებთ მშობელთა ინდივიდუალურ შეხვედრებს. მშობელთა ჩართულობა გვეხმარება სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად მართვაში. მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე და მათ საჭიროებებზე ინფორმაციის მიმოცვლა უწყვეტად მიმდინარეობს.

მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ და ცდილობენ საგაკვეთილო პროცესი იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო; პედაგოგები ლოგოსელებს მუდმივად სთავაზობენ სახალისო აქტივობებს, ჯგუფურ სავარჯიშოებს, შემეცნებით პროექტებსა და ინტერაქტიულ დავალებებს.

სკოლამდელი აღზრდის პროგრამის დღის განრიგი

სკოლამდელი აღზრდის პროგრამის საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება 09:00-დან 17:00 საათამდე. დღის განრიგი მორგებულია ბავშვების საჭიროებაზე. აღსაზრდელებს აქვთ სამჯერადი კვება.

აღსაზრდელებთან მთელი დღის განმავალობაში მუშაობს ორი აღმზრდელ-მასწავლებელი - ქალბატონი და მამაკაცი, რომელსაც გაკვეთილების ცხრილის შესაბამისად ენაცვლებიან სხვადასხვა მიმართულების (ქართული, მეცნიერებები, ინგლისური, ლოგიკა, მუსიკა, ხელოვნება, ჭადრაკი, კარატე, რიტმიკა, სპორტი) მასწავლებლები.

აღსაზრდელები აღმზრდელ-მასწავლებლებთან ერთად, დღის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ მაინც იმყოფებიან ეზოში.

დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) პროგრამის დღის განრიგი

სკოლა მოსწავლეს საგანმანათლებლო მომსახურებას სთავაზობს 09:00-დან 17:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ ახერხებს 17:00 საათისთვის მოსწავლის სკოლიდან გაყვანას, მოსწავლე რჩება გაერთიანებულ საკოორდინატორო ჯგუფში 18:30 საათამდე.

დღის განრიგი იყოფა ორ ნაწილად - საგაკვეთილო და დამოუკიდებლად მუშაობის ნაწილებად. მოსწავლის სკოლაში ყოფნის სავალდებულო პერიოდია საგაკვეთილო ცხრილით განსაზღვრული დრო. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მოსწავლემ დამოუკიდებლად მუშაობა შეიძლება გააგრძელოს სკოლის გარეთაც.

ფსიქოლოგიის საათი I კლასი

ფსიქოლოგის საათის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების ურთიერთგაცნობას, ერთმანეთთან დაახლოებასა და ბავშვების სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას.

ლოგიკის საათი I-II კლასები

ლოგიკის საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში შეკითხვების ჩამოყალიბების, მათზე პასუხების ძიების, გონივრული არჩევანის გაკეთებისა და მისი ლოგიკურად დასაბუთების უნარების განვითარებას.

რიტმიკის საათი I-III კლასები

რიტმიკის საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გამოყენების უნარის განვითარებას. დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას სასცენო ხელოვნების მიმართ.

პიროვნული განვითარების საათი I-VI კლასები

პიროვნული განვითარების საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სამართლიანობის, ტოლერანტობის, საკუთარი პიროვნებისა და სხვების პატივისცემის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

პროგრამირების/რობოტიკის საათი I-IX კლასები

პროგრამირების საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში სხვადასხვა გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის, ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და ოპტიმალური ფორმის მიცემის უნარის განვითარებას. მოძიებული ინფორმაციის გამოყენებისას და ეთიკური და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინების დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

პრაქტიკული ინგლისურის საათი V-VIII კლასები

პრაქტიკული ინგლისურის საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ყოველდღიურ ყოფით თემებთან დაკავშირებით ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

ჭადრაკის საათი I-XII კლასები

ჭადრაკის საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თამაშის წესების, მისი ცალკეული სტადიებისა და მათი გათამაშების პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების, გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. მეწყვილესთან თამაშის დროს ეთიკის ნორმების დაცვის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

აზროვნების სამყაროს საათი III-VI კლასები

აზროვნების სამყაროს საათის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობისა და ქართულ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

SAT, IELTS, TOEFL X-XII კლასები

სკოლის აკადემიური პროგრამის შემადგენელი ნაწილია მომზადება შემდეგ საერთაშორისო ტესტებში:

SAT - სტანდარტული მისაღები გამოცდები ამერიკის უნივერსიტეტებში ჩასარიცხად; მოიცავს კრიტიკული აზროვნების ნაწილს (ტექსტის ანალიზი და ლექსიკა), წერასა და მათემატიკას;

TOEFL - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტი; მოიცავს კითხვის, წერის, მოსმენისა და მეტყველების სექციებს;

IELTS - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტი; მოიცავს კითხვის, წერის, მოსმენისა და მეტყველების სექციებს.

COLLEGE COUNSELING-ის კურსი XII კლასი

College Counseling -ის კურსი მოიცავს დახმარებას:

- ევროპასა და ამერიკაში უნივერსიტეტის შერჩევაში;
- დაფინანსების მოპოვებაში;
- სასურველ უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებაში;
- შესაბამისი განაცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება-გაგზავნაში.

College Counseling - ის კურსს უძღვებიან:

გიორგი ჩავლეიშვილი, ვადუდ რეჯი ზიროკი, ელენე ჯაფარიძე, ქრისტოფერ ანდერსონი, ბექა კევლიშვილი, ჯონათან პეტრიკ ფლინი.

საგანი "აზროვნების ლაბორატორია"- ზოგადი უნარები XII კლასი

„აზროვნების ლაბორატორია" აბიტურიენტებს ამზადებს ზოგადი უნარების გამოცდისათვის. ის ემსახურება შემეცნებითი პროცესების დახვეწასა და მათი გამოყენების უნარების გავარჯიშებას. მოსწავლეები საკუთარ და თანატოლების მაგალითზე სწავლობენ, თუ როგორ მიმდინარეობს აზროვნების პროცესი, რა არის ლოგიკური აზროვნებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორ ხდება რაიმე საკითხის შესახებ მსჯელობა (დისკუსია), განსჯა (შემადგენელი ელემენტების შეფასება) და დასკვნის (შედეგის გააზრება) ჩამოყალიბება.

საგანი "ცხოვრებისეული უნარები" VII-X კლასები

ამ საგნის მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნების წარმატებით გადაჭრის უნარები. „ცხოვრებისეული უნარების" კურსის სწავლება ხელს უწყობს კომუნიკაციის, ჯგუფში მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას.

საგანი "მსოფლიო ლიტერატურა"

ამ საგნის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, ჰქონდეთ ზოგადი განათლება, ჩამოუყალიბდეთ პარალელური ანალიზის კულტურა, რაც ხელს შეუწყობს მათში მასშტაბური აზროვნების განვითარებას. მსოფლიო ლიტერატურის კურსი შემუშავებულია გია მურღულიას მიერ.

FUN SCIENCE, COMPUTER SCIENCE, PRACTICAL ENGLISH,ENGLISH AND HISTORY VII-IX კლასები

ყველა ზემოთხსენებული საგანი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე და ემსახურება ინგლისური ენისა და ზოგადი განათლების დონის ამაღლებას, ასევე სხვადასხვა უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ საგნების მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს მეცნიერებისადმი ინტერესი და მიაჩვიოს ისინი ინგლისურად კომუნიკაციას. საგნები მოიცავს მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო ვიდეოების ჩვენებას, ასევე ამ მოვლენების მათთვის გასაგებად ახსნას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში დაკვირვების უნარის, ჯანსაღი ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და ინფორმაციის ძიების უნარის განვითარებას.

სტუდენტური ცენტრი

ლოგოსში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობებს. სტუდენტური ცენტრი ლოგოსელებს ეხმარება მათი ინტერესთა სფეროების შეცნობასა და პრაქტიკაში გამოყენებაში. ეს გულისხმობს სხვადასხვა საინტერესო პროექტების შექმნასა და განხორციელებას. მაგალითად, ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების პროგრამა, დებატების, მოლაშქრეთა, მხატვრებისა თუ სხვა კლუბები.

მოსწავლეებს ჰყავთ მენტორები, რომლებიც ეხმარებიან და აძლეევნ სწორ მიმართულებას. ეს გამოცდილება განაპირობებს ლოგოსელების სამომავლო მზაობას რეალური ცხოვრებისათვის.

ღონისძიებები და პროექტები

სკოლის მოთხოვნაა, სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი არამარტო გაკვეთილების პროცესში, არამედ სხვადასხვა ღონისძიებასა და პროექტში. აღნიშნული პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას წარმართავენ მოსწავლეები, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, პედაგოგებთად ერთად.

პროექტი "გაცნობიერებული არჩევანი"

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ცნობილ წარმომადგენლებს, იღებენ მათგან სრულფასოვან ინფორმაციას, ეცნობიან სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ კომპანიის მუშაობის სპეციფიკას, სკოლაში უტარდებათ უნივერსიტეტების პრეზენტაციები.

ზაფხულის ბანაკი

სკოლა მოსწავლეებს ყოველწლიურად სთავაზობს ზაფხულის შემეცნებით -გასართობ ბანაკებს. ზაფხულში სკოლის წარმატებული მოსწავლეები მიემგზავრებიან ამერიკასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - პროექტორით, კომპიუტერით, ეკრანით და ინტერნეტით. ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, ვებგვერდი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

მშობლებთან ურთიერთობა

მშობლები სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდებიან სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს, კლასის დამრიგებლებს, ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, იღებენ ინფორმაციას სახელმძღვანელოების, დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. ელექტრონული ჟურნალი ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეთა, ასევე, მშობელთათვის. სკოლა იყენებს SMS მომსახურების პროგრამას, რომლის საშუალებითაც ცირკულარული წესით იგზავნება საჭირო შეტყობინება. მშობლებთან შეხვედრები ტარდება რეგულარულად - სემესტრის მიმდინარეობისას და სემესტრის ბოლოს. შუალედებში იმართება ინდივიდუალური შეხვედრები

საერთაშორისო აკადემია ღოგოსის კურსდამთავრებულები

• 2010 – 2020 წლებში სკოლა დაამთავრა 244 მოსწავლემ.

• 139 კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა ამერიკისა და ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. მათ გრანტის სახით მიღებული აქვთ 8 553 200 აშშ დოლარზე მეტი.

• 105 კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა საქართველოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. მათ გრანტის სახით მიღებული აქვთ 480 300 ლარზე მეტი.

საერთაშორისო აკადემია ღოგოსის კურსდამთავრებულებმა სწავლა გააგრძელეს შემდეგ უნივერსიტეტებში

ევროპა:

• Jacobs University Bremen
• Bard College Berlin
• Hamburg University
• University of St. Andrews
• HULT Business School
• Schiller International University
• EU Business School Barcelona
• Saint Louis University Madrid
• University of NY in Prague
• Charles University
• Anglo-American University (AAU)
• American University of Paris
• Lisaa (L'institut supérieur des arts appliqués)
• Kaunas University of Technology
• Vilnius Gediminas Technical University
• University of Applied Sciences
• Lauder business School
• American University of Bulgaria
• Wittenborg University of Applied Sciences
• University of Debrecen
• Neapolis University in Cyprus
• Akademia Leona Koźmińskiego
• Franklin College

ამერიკის შეერთებული შტატები:

- Hamilton College
- United States Coast Guard Academy
- Stuart Hall School
- Manhattan Culinary Academy
- Colgate University
- King's College (New York)
- Manhettanville College
- Northeastern University
- Boston College
- Temple University
- City College of NYC
- Seton Hall University
- Saint Louis University
- Mount Holyoke College
- University of massachusetts lowell
- Washington & Jefferson College
- Depauw University
- Beloit College
- New York University
- Cornell University
- Utica College
- Furman University
- The King`s College
- Northern Virginia Community College

საქართველო:

- საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტი
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU)
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
- საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თბილისის ა.ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

"საერთაშორისო აკადემია ღოგოსში" მოსწავლეთა მიღება ხდება გამოცდების საფუძველზე. გადმოსვლის მსურველები აბარებენ გამოცდას 3 საგანში:

- **ქართული ენა და ლიტერატურა**
- **მათემატიკა**
- **ინგლისური ენა**

ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №34
2 37 63 03
info@logos.edu.ge

VII-XII კლასები

www logos.edu.ge

/Logos.Edu.Ge

logos_international_academy

I-VI კლასები

www logosjunior.edu.ge

/Logosjunior